ლელო

№29
(10940)

აგვისტო. 1995 წ.
ფასი 1000 რუბლი, ან 250 000 კუპონი.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



# ქართული ფეხბურთის დიდი გამოცდა ევროტურნირებში

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

დაიწყო მეშვიდე ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში პირველი ჯგუფის გუნდებს შორის. როგორც გათამაშების დებულებაშია ნათქვამი, მისი ჩატარება „მიზნად ისახავს საქართველოში ფეხბურთის შემდგომ განვითარებას და პოპულარიზაციას, საფეხბურთო გუნდების სათამაშო კლასის ამაღლებას, ოფიციალურ საერთაშორისო ასპარეზზე ნაკრები და საკლუბო გუნდების წარმატების მიღწევას, ჩემპიონატის გამარჯვებულის და ცალკეულ ჯგუფებში პირველ ადგილზე გასული გუნდების, „ფეირ-პლეის“ კონკურსში გამარჯვებული გუნდების, ამასთანავე, 1996-1997 წლების უეფას ოფიციალურ ტურნირებში მონაწილე გუნდების გამოვლენას“.

### პირველი ჯგუფი, პირველი შედეგები

I ტური

„დინამო“ (ბათუმი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 3-0
„დინამო“ (ზუგდიდი) — „კახეთი“ (თელავი) 2-1
„ტორპედო“ (ქუთაისი) — „ივერია“ (ხაშური) 1-0
„მეტალურგი“ (რუსთავი) — „შევარდენი-1906“ (თბილისი) 3-2
„დილა“ (გორი) — „მარგვეთი“ (ზესტაფონი) 4-2
„კოლხეთი-1913“ (ფოთი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 4-0

ევროტურნირებში მონაწილეობის გამო პირველი ტურის მატჩები თბილისის „დინამოსა“ და „სამტრედიის“ მონაწილეობით გაიმართება 26 აგვისტოს. ამ დღეს ერთმანეთს შეხვდებიან: „დინამო“ (თბილისი) — „ეგრისი“ (სენაკი), „სამტრედია“ (სამტრედია) — „სიონი“ (ბოლნისი).

## სამტრედიელები სკანდალით იწყებენ...

როგორც ეს საერთაშორისო პრაქტიკაშია მიღებული, მაკედონიელებს მეტოქისათვის, სამტრედიის გუნდისთვის თხოვნით მიუმართავთ შეეტყობინებინათ თუ როდის და ვისთან გამართავდნენ სპარინგ-მატჩებს. ჩვენებს გაუგზავნიათ კიდეც ეს განრიგი! (სამტრედიის“ მეტოქეები უნდა ყოფილიყვნენ მოსკოვის არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდი, „ლოკომოტივი“, და იორდანიის ნაკრები). მაკედონიელებს მოსკოვის „ლოკომოტივთან“ შეხვედრაზე თავიანთი მწვრთნელი მოუვლენიათ, მაგრამ მწვრთნელი მისულა „ლოკომოტივის“ სტადიონზე, მასპინძლებს კი არაფერი სცოდნიათ სამტრედიელთა მიერ „დაგეგმილ“ შეხვედრაზე. მაკედონიელი სტუმარი ხელმოცარული გაბრუნებულა სამშობლოში. ამ ამბავს ცხადია, ცუდი რეზონანსი გამოუწვევია საზღვარგარეთულ პრესაში. როგორც შევიტყვეთ, სამტრედიელთა უცოდინარობის თუ უყურადღებობის გამო, უეფა უთუოდ საჯარიმო სანქციებს გამოუტანს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას.

**საკუთარი ინფორმაცია**

## ინდურაინი კრემლის გარშემო

წრიული ველორბოლა კრემლის გარშემო — „მასტერს კრიტერიუმი“ (116,6 კილომეტრი, 22 წრე) მოიგო მიგელ ინდურაინმა (ესპანეთი, „ბანესტო“) შედეგით 2:36.46. მეორე ადგილი ხვდა ვიაჩესლავ ეკიმოვს (რუსეთი, „ნოველი“) — მინუს 0,11, მესამე — ლენს არმსტრონგს (აშშ, „მოტოროლა“) — მინუს 0,14.

## ბათუმის სტადიონს ველარ იცნობთ...

სასწაული შეიძლება ეწოდოს ყოველივეს, რაც ამჟამად ბათუმში „დინამოს“ სტადიონზე ხდება. ფუტკარივით ქესევია ხალხი იქაურობას, თურქებიც ჩამოსულან, მეტი წილი, ცხადია, ქართველები არიან — გურიიდან, იმერეთიდან, რაჭიდან, სამეგრელოდან, თვით ბათუმელებზე აღარაფერს ვამბობთ. მშენებელ-რესტავრატორები აუარება საქმეს შესჭიდებიან. მთავარი მაინც დროა, რომელიც თვალსა და ხელს შუა გარბის. 15 აგვისტოსთვის ყველაფერი მზად უნდა იყოს, უეფას წარმომადგენელი მოუწვევიათ. ნაცვლად იმისა, რომ ვიდეომასალა ან ფოტოკადრები გაეგზავნათ სტადიონის მზადყოფნის შესახებ, უეფას ემისარი თავად იხილავს ყველაფერს. ორი დღე ვადევნებდით თვალს მშენებლებს — სასტუმრო „მედეას“ მაღალი სართულიდან დილით სულ სხვა ხედი მოჩანდა, ვიდრე წინა დღეს იყო. ღამეც არ წყდება მუშაობა, აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე დღე-ღამეში 4-5-ჯერ მიდის სტადიონზე. საოცარია, მაგრამ თურმე ახალი სტადიონი უფრო მალე აშენდებოდა ასეთი ტემპით და შემართებით. დიდი დრო მიაქვს ნგრევას, სტადიონი მთლიანად ამორტიზებული ყოფილა, საყრდენები მოფუყული, ტრიბუნები არასაიმედო, გასახდელები, მსაჯთა ოთახები, კომუნიკაციები, ელექტროგაყვანილობა — უვარგისი. ერთი სიტყვით, ყველაფერს ანახლებენ. სამშენებლო მასალები, რაც კი საჭიროა, თურქეთიდან შემოუზიდავთ, ცემენტიც კი.

მოესწრება? ამბობენ, ყველაფერი მოესწრება, ეჭვს იწვევს მხოლოდ ელექტროტაბლოს მონტაჟი, წინასწარ ძნელია იმის თქმა, რა მოხდება, თუ ეს პრობლემა გადაუჭრელი დარჩა.

**„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი**

## მილოცვა

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი და კალათბურთის ფედერაცია დაბადებიდან 50 წლისთავს ულოცავს სპორტის დამსახურებულ ოსტატს, ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს ზურაბ საკანდელიძეს.

## აჭარის საფეხბურთო ტალღა

**ბათუმის** „საბაჟოს“ ვეტერანმა ფეხბურთელებმა თამაშის ასაკის ზღვარი შორს გადაწიეს, იქნებ გინესის წიგნშიცაა შესატანი გუნდი, რომელიც ოფიციალურ ჩემპიონატში ზედიზედ ხუთი წელია იმარჯვებს, მოთამაშეთა საშუალო ასაკი კი 40 წელსაა გადაცილებული.

* * *

**თბილისში** „დინამო“ „ჩერნომორეცს“ ხვდებოდა. თემურ ესებუა დინამოელთა მეტოქის გუნდში გამოდიოდა. თემური ახლა იგონებს: „მწვრთნელმა ჩვეულებრივ თავდასხმაში გამომიყვანა, კარგ ფორმაში ვიყავი. შემთხვევით გოლი რომ არ გამეტანა, უკან დახეული ვთამაშობდი. მწვრთნელმა შენიშნა და შემცვალა. ყოვლისმცოდნე, ყურადღებიანმა მაყურებელმა ტაშით გამაცილა მინდვრიდან“.

იხ. მე-2 გვ.

## ამიერიდან 8,96 მეტრი

მაიკლ პაუელმა ბობი ბიმონის (ორივე — აშშ) ფანტასტიკური მსოფლიო რეკორდი სიგრძეზე ხტომაში (8,90 მ) 1991 წლის 30 აგვისტოს გააუმჯობესა ტოკიოს მსოფლიო ჩემპიონატზე (აჩვენა 8,95 მ). ფიქრობდნენ, რომ ამ შედეგის გადაჭარბება ძნელი იქნებოდა, მაგრამ გავიდა ოთხი წელი და სესტრიერში (იტალია), მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში, კუბელმა ივან პედროსომ ძველ მსოფლიო რეკორდს ერთი სანტიმეტრი წაუმატა. ამიერიდან სიგრძეზე ხტომაში რეკორდების ათვლა დაიწყება 8 მეტრიდან და 96 სანტიმეტრიდან!

რომარიო




## რომარიო: „ჩემი სასაუბრო ენა — გოლების ენაა“

**მას დიდხანს სძინავს და არ უყვარს მძიმე, მომქანცველი ვარჯიში. ჰყავს უძვირფასესი მანქანა, ერთი დიდი ქონების საფასური. ამის მიუხედავად, სულ იმას ჰყვება, რომ რიო-დე-ჟანეიროს ულარიბესთა კვარტალში იზრდებოდა. რომელ ქვეყანაშიც კი ჩავიდა,, მტერი უფრო მეტი შეიძინა, ვიდრე მეგობარი. მაგრამ ისინიც კი, ვისაც ვერ ათქმევინებ მასზე კეთილ სიტყვას, აღიარებენ, რომ რომარიო დე სოუზა ფარია გენიოსია.**

● **რატომ ხართ ადამიანებთან მუდმივ კონფლიქტში?**

— ადამიანებთან ურთიერთობის გართულებას გულწრფელად გავურბივარ, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად მიხდება თავის დაცვა უსაფუძვლო ბრალდებებისგან.

● **თქვენს პარტნიორებს თუ დავუჯერებთ, რომარიო მხოლოდ გოლის გატანაზე ფიქრობს. ასეა მართლა?**

— მერედა, რა არის ამაში ცუდი? როგორ გგონიათ, რატომაა ასეთი მოთხოვნა ჩემზე საზღვარგარეთ? იმიტომ, რომ გოლის გატანა ვიცი. თუნდაც ერთი გოლი რომ გავიტანო თამაშში იმას ნიშნავს, რომ სამუშაო კეთილსინდისიერად შემისრულებია.

● **იმასაც ამბობენ, რომ თქვენ არაფერს აკეთებთ გუნდისთვის.**

— ყველას თავისი როლი და ადგილი აქვს განკუთვნილი. მე არ უნდა ვსდიო მოწინააღმდეგეს ბურთის წასართმევად. რომარიოს უნდა ჰქონდეს დასვენებული ფეხები და სალი თავი. ჩემი სპეციალობაა მაქსიმალურად გამოვიყენო საგოლე მომენტები. გახსოვთ ალბათ, გერდ მიულერი. მეც მიულერის მსგავსად ფასდაუდებელი ვარ საჯარიმო მოედნის შიგნით, თანაც ყოველ მატჩში, ყოველ ტაიმში, ყოველ წუთს.

● **მაგრამ თქვენზე ხომ მთელი გუნდი მუშაობს?**

— სისულელეა! მე ყველაფერს თვითონ ვაკეთებ. პასის მოცემაზე ხვეწნა მჭირდება. ჩემს პარტნიორებს მოსწონთ, როცა ვბრაზდები და წონასწორობას ვკარგავ. გეგონებათ მათი მტერი ვიყო.

● **თქვენზე ამბობენ ვარჯიშებზე მისვლას აგვიანებსო.**

— ვარჯიში იწყება თერთმეტის ნახევარზე. 15 წუთით ადრე სტადიონზე ვარ და როგორც წესი პირველი გავდივარ მინდორზე. თვითონ 45 წუთით ადრე მოდიან სტადიონზე, მაგრამ ლაყბობენ მხოლოდ და ყავას სვამენ. მე არც ლაყბობა მიყვარს და არც ყავა. ამას მირჩევნია ზედმეტი ნახევარი საათი ვიძინო.

● **ევროპას თუ შეეჩვიეთ?**

იხ. მე-3 გვ.

# აჭარის საფეხბურთო ტალღა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვინა თქვა ჩვენი სიბერე...

### ბათუმის საბაჟოს გუნდი — აჭარის ჩემპიონი

დასრულდა აჭარის ჩემპიონატი ფეხბურთში. ბათუმის საბაჟოს ვეტერან ფეხბურთელთა გუნდმა ზედიზედ უკვე მე-...ედ მოიპოვა ჩემპიონობა ახალგაზრდა მეტოქეებთან ჭიდილში. სწორედ ამაზედ იტყვიან „ბებერი ხარისა, რქაც ხნავსო“.

წლევანდელი ჩემპიონატი ადრინდელებისგან განსხვავებით უფრო წარმომადგენლობითი იყო — თერთმეტი გუნდი მონაწილეობდა და მეტი ორგანიზებულობითაც გამოირჩეოდა. სეზონის დასაწყისში გულშემატკივრები ჩემპიონობისათვის ბრძოლაში უპირატესობას საბაჟოსა და სანაოსნოს გუნდებს ანიჭებდნენ. რაც შეეხება მესამე ადგილს, აქ მეტნაკლებად თანაბარი შანსი ჰქონდათ „საჩინოს“, „არენას“, „შევარდენს“ და მოგვიანებით შემომატებულ „ხიხანს“.

მოსალოდნელიც იყო და ჩემპიონატი დაძაბულად, საინტერესოდ წარიმართა. პირველი წრის ფინიში უდანაკარგოდ გადაკვეთა საბაჟოს გუნდმა — ათი თამაშიდან ათი მოგება. ტემპი მათ არც შემდეგ დაუკარგავთ, უახლოეს მდევრებს თორმეტი ქულით გაუსწრეს და ჩემპიონატი ორმოცდათექვსმეტი ქულით (თვრამეტი მოგება, ორ ფრე) დაასრულეს.

წარმატება თითქოსდა მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო. მოთამაშეთა აბსოლუტური უმრავლესობა სხვადასხვა წლებში ბათუმის „დინამოში“, თბილისის „დინამოსა“ და ოდესის „ჩერნომორეცში“ გამოდიოდა. ერთი „უმნიშვნელო“ დეტალი — მართლაც იშვიათია ასაკოვანი ფეხბურთელები (35-35 წლის ა. კუნჭულია, გ. ცანავა და გ. ზედანია, 36 წლის ტ. დურდიაძე, 38 წლის ე. კაკაბაძე, 40-ს გადაცილებულები გ. ჯორბენაძე, ვ. ქაცარავა, ჯ. კაკალაძე, ა. გორგილაძე, თ. ბეჟანიძე და თ. ესებუა, 47-47 წლის ვ. ქორიძე და ა. ჩხარტიშვილი, 48 წლის ი. ესებუა და 43 წლის გ. ქიქავა...) ოფიციალურ ტურნირში მონაწილეობდნენ და ორჯერ უფრო ახალგაზრდა გუნდებთან იმარჯვებდნენ, თანაც როგორ — გუნდს 1994 წლის მარტში მოსკოვის მანეჟზე მარცხიანი მატჩის შემდეგ, თითქმის წელიწადნახევრის განმავლობაში არც ოფიციალური, არც ამხანაგური შეხვედრა არ წაუგია.

გუნდის ისტორია იმით დაიწყო, რომ თურქმა მებაჟეებმა ქართველ კოლეგებს ამხანაგური მატჩების გამართვა შესთავაზეს შინ და გარეთ. ჩვენებმა მიიხედ-მოიხედეს და თავიანთი რიგებისთვის გამოცდილი ფეხბურთელები მოიძიეს. გუნდის ჩამოყალიბების თაოსანი გახლდათ საბაჟოს მაშინდელი ერთ-ერთი ხელმძღვანელი, შესანიშნავი ორგანიზატორი ალეკო ჩხარტიშვილი. ის პირველი საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა მებაჟეებმა შინ, ბნზ-ეს სტადიონზე გამართეს და გაიმარჯვეს 3-2.

ვეტერანებს ორი ტაიმის თამაში, რაც მართალია, ძალიან გაუჭირდათ. კაცური სიტყვა დადეს: რეგულარულად ივარჯიშებდნენ და უფრო სერიოზულ მეტოქეებსაც შეერკინებოდნენ. თამაში ტრაპიზონში, მოქმედი ფეხბურთელებით გაძლიერებულ თურქ მებაჟეებთან ფრედ 2-2 დამთავრდა. მალე კიდევ ორრაუნდიანი დუელი გაიმართა, ისევ თურქებთან. ამჯერად ორივე შეხვედრა



ბათუმის „საბაჟოს“ ფეხბურთელთა გუნდი

მოიგეს ბათუმელებმა და ფორმის შენარჩუნების მიზნით აჭარის ჩემპიონატში ჩაებნენ.

პირველი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ჩვენმა მებაჟეებმა ითამაშეს, გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწის მემედ აბაშიძის დაბადების 120 წლისთავის მიეძღვნა და ბათუმში გაიმართა 1994 წლის იანვარში. „მებაჟემ“ დაძაბულ და უკომპრომისო ბრძოლაში მოსკოვის დინამოელთა გამოცდილ კოლექტივთან დათმო პირველობა — 1-2.

რამდენიმე თვის შემდეგ მოსკოვის ვეტერანთა საერთაშორისო ტურნირ „მეგობრობაზე“ ბათუმელებმა, მართალია, წარუმატებლად იასპარეზეს, მაგრამ დიდი სიმპათიები დაიმსახურეს, რის გამო იუგოსლავიაში ანალოგიურ ტურნირზე მიიპატიჟეს. დაიწყო სერიოზული მზადება, ჩატარდა საკონტროლო მატჩები აჭარის გუნდებთან. ტურნირი სერბიის ორ ქალაქში ჩატარდა. ბათუმელთა მეტოქე იყო სერბია — რუსეთის წარმომადგენლობისა და იუგოსლავიის ჰოლდინგ კორპორაცია „გოშას“ ვეტერან ფეხბურთელთა გუნდი, რომელშიც თამაშობდნენ ცნობილი იუგოსლავი ფეხბურთელები: მილოშ შესტიჩი, ზდრავკა ბოროუნიკე, დუშან სავიჩი, აცე ტრიფუნოვიჩი, ნიკიცე კლინჩისკი, მილეტ ჯოვიჩი, ზორან ვოროცოვიჩი, ზლატკა პეჟმანი და სხვები. ქართველებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 2-0. ჩვენებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მეკარე ა. კუნჭულია, გ. ჯორბენაძე, გ. ცანავა და თ. ესებუა.

გადამწყვეტ მატჩში ბათუმელთა მეტოქე იყო კრუშავეცის ნაკრები. მ. კიკვილაშვილის, თ. ბეჟანიძის შემდეგ კი ტურნირის ყველაზე ეფექტური, სანახაობით უიშვიათესი გ. ცანავას მესამე გოლის წყალობით ჩვენებმა მატჩთან ერთად ტურნირიც მოიგეს. მწვრთნელი გოჩა ფურცხვანიძე, რომელმაც მოკლე დროში ფეხბურთს თავსმინებებულ ფანატიკოსთაგან ვეტერანთა ესოდენ ძლიერი მოგობრული კოლექტივი შექმნა, თავისმა გუნდმა ხელში ატაცებული გაატარა ტრიბუნების წინ.

აჭარის ჩემპიონატის მოგების შემდეგ გუნდი არდადეგებზე წავიდა. „ბიჭები“ მალე კვლავ შეუდგებიან ვარჯიშს. აჭარის ახალ ჩემპიონატში კი სურვილებით მეოცნებე მებაჟეებს კვლავ ვიხილავთ მწვანე მინდორზე.

ინტერვიუ გუნდის მთავარ მწვრთნელთან

## გოჩა ფურცხვანიძესთან

**● თქვენმა გუნდმა სამი ტურით ადრე გაინაღდა ჩემპიონობა, რამ განაპირობა წარმატება?**

— ჩვენთან ძირითადად პროფესიონალები თამაშობენ, გუნდი მეგობრულია, ფეხბურთელები ასაკთან შედარებით, ფიზიკურად კარგად არიან მომზადებულნი.

**● საშუალო ასაკი 40 წელზე მეტია და კონკურენტებისთვის, ფაქტიურად, წინა თაობა ხართ. როგორ ფიქრობთ, ამ შემადგენლობით კიდევ რამდენ წელს შეინარჩუნებთ უძლიერესის სახელს?**

— უკვე ხუთი წელია უცვლელი ჩემპიონები ვართ. შედარებით მძაფრი წინაალმდეგობა მეტოქეებმა ამ სეზონში გაგვიწიეს. ალბათ კიდევ ორ სეზონში ვერავინ შეგვეცილება პირველობას. მერე, რა ვქნათ, ასაკს მაინც თავისი გააქვს.

**● როგორ ფიქრობთ, ამ შემადგენლობით საქართველოს ჩემპიონატში რომ გეთამაშათ, რა ადგილს დაიკავებდით?**

— უმაღლეს ლიგაში ალბათ ადგილის შენარჩუნებისთვის ვიბრძოლებდით, II ლიგაში — პირველობისათვის.

**● დღეს საქართველოში ბევრს უჭირს. ფეხბურთის სათამაშოდ კი არა, ბევრი მშობელი შვილებს საშოვარზე გზავნიან. რა იზიდავს თქვენს საშეფო გუნდ „არჩესში“ პატარებს. ისინი შეძლებული ოჯახებიდან არიან?**

— არიან შეძლებულებიც და ხელმოკლე ოჯახებიდანაც. გუნდის ხელმძღვანელობა ზრუნავს მათზე, ეხმარება მატერიალურად და მორალურად. ფაქტობრივად, ფეხბურთელთა ახალ თაობას ვზრდით. მოზარდს არ უნდა წაერთვას ბავშვობა, ახლა ყველას უჭირს და გვინდა ნორჩებს მძიმე ცხოვრება შევუმსუბუქოთ, გავახალისოთ, სიხარულს ვაზიაროთ.

**● როგორ დაიწყო თქვენი საქმიანობა?**

— ფეხბურთთან ადრე მხოლოდ გულშემატკივრობა მაკავშირებდა. გუნდის ჩამოყალიბებისას საბაჟოს მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ზური დანელიას და მე დამავალეს ორგანიზაციული საკითხების მოგვარება. ზურას წასვლის შემდეგ ბიჭებმა მწვრთნელად მე ამირჩიეს, მეტსახელად „ფეოლაც“ შემარქვეს. მერიდება კიდეც, ბიჭებმა თავადაც ყველაფერი იციან, ისინი მწვრთნელები და ფეხბურთელები არიან. მე მათ რა უნდა ვასწავლო.

**● გუნდის სიცოცხლისუნარიანობისთვის მარტო ენთუზიაზმი არ კმარა...**

— ამ მხრივ საქმე კარგად გვაქვს. საბაჟოს ხელმძღვანელობა, ბატონი ლევან გავარაშვილი — კაცი შეყვარებული ფეხბურთზე და საერთოდ სპორტზე, ყველანაირ დახმარებას გვიწევს. ესწრება ყველა ჩვენს თამაშს. უკვე ითქვა — შეფობს ბავშვთა გუნდსაც. როცა ასეთ ყურადღებას გრძნობ, ძალებს როგორ დაზოგავ.



| | | | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | „მებაჟე“ | (ბათუმი) | 20 | 18 | 2 | 0 | 76-36 | 56 |
| 2. | „მეზღვაური“ | (ბათუმი) | 20 | 14 | 2 | 4 | 98-19 | 44 |
| 3. | „ხიხანი“ | (ხულო) | 20 | 13 | 2 | 5 | 55-38 | 41 |
| 4. | „საჩინო“ | (საჩინო) | 20 | 12 | 2 | 6 | 61-25 | 38 |
| 5. | „არენა“ | (ახალსოფელი) | 20 | 11 | 4 | 5 | 54-33 | 33 |
| 6. | „შევარდენი“ | (ურეხი) | 20 | 11 | 1 | 8 | 54-32 | 34 |
| 7. | „პოლიგრაფსერვისი“ | (ბათუმი) | 20 | 9 | 0 | 11 | 41-50 | 27 |
| 8. | „კაზბერი“ | (მეჯინისწყალი) | 20 | 5 | 3 | 12 | 32-59 | 18 |
| 9. | „ტალღა“ | (ოჩხამური) | 20 | 3 | 1 | 16 | 28-93 | 10 |
| 10. | „თაიგული“ | (ცეცხლაური) | 20 | 3 | 0 | 17 | 27-76 | *9 |
| 11. | „ჭოროხი“ | (ჯარნალი) | 20 | 2 | 1 | 17 | 33-102 | 7 |

### აჭარის 1994-1995 წლების ჩემპიონატი ფეხბურთში

გათამაშების საბოლოო ცხრილი

ინტერვიუ

## თემურ ესებუასთან

**● თქვენ მრავალი გოლი გაგიტანიათ, მათ შორის გამარჯვების ტოლფასიც, რომელ მათგანს გამოჰყოფდით?**

— გოლი ყველა სასიამოვნოა მოსაგონებლად. ყველაზე მეტად მაინც ამ ბოლო დროს კრუშავეცში, იუგოსლავიის ვეტერანთა ნაკრების კარში გატანილი გოლი მახსოვს.

**● როგორ პარტნიორს ისურვებდით და რატომ?**

— ჩემთვის იდეალური პარტნიორი იყო გივი ნოდია. ბურთის მოთხოვნა არ მჭირდებოდა, გახსნა და პასი ერთი იყო, გივის მინდვრის ხედვა ჰქონდა საოცარი.

**● რა განცდა გეუფლებათ, როცა ძველებურად მუხლი აღარ გემორჩილებათ და ახალგაზრდა მეტოქესთან აგებთ პაექრობას?**

— გაბრაზებით ნამდვილად არ ვბრაზდები, ან ვისზე გავბრაზდე, ასაკზე? როგორც იტყვიან: ჩემი წლები ჩემი სიმდიდრეა!

**● რა მოგცათ ფეხბურთმა?**

— ფეხბურთმა ძალიან ბევრი მეგობარი შემძინა. აქ შეძენილი მეგობრები მაინც სხვაა, სამუდამოა. ყველაზე მეტად ვიტალი დარასელიასთან და ნოდარ ხიზანიშვილთან ვმეგობრობდი, განუყრელნი ვიყავით. სამწუხაროდ, ვიტალი ადრე გამოგვაკლდა.

**● მეტოქე გუნდებიდან ვისთან გსიამოვნებდათ თამაში და რატომ?**

— რატომღაც ოდესის „ჩერნომორეცთან“, განსაკუთრებული ხელწერის გუნდი იყო, მეგობრული. ალბათ ამიტომაც მოვხვდი შემდეგ ამ გუნდში.

**● ოდესის „ჩერნომორეცში“ თამაშისას როგორი ურთიერთობა გქონდათ თბილისის „დინამოსთან“?**

— საკმაოდ კარგი, მეგობრული. თბილისში ერთ-ერთი თამაშისას მწვრთნელმა ჩვეულებრივ თავდასხმაში გამომიყვანა, კარგ ფორმაშიც ვიყავი. შემთხვევით გოლი რომ არ გამეტანა, უკან დახეული ვთამაშობდი, მწვრთნელმა შენიშნა და შემცვალა. ყოვლისმცოდნე, ყურადღებიანმა მაყურებელმა ტაშით გამაცილა მინდვრიდან.

**● რას იტყოდით ბათუმის „დინამოს“ წლევანდელ წარმატებაზე და მის შანსზე ევროპულ ტურნირში?**

— გუნდი ახალგაზრდულია, პერსპექტიული, მაგრამ გამოუცდელია, პირველ თამაშში ალბათ ბედი იტყვის გადამწყვეტ სიტყვას. თუ ფორტუნამ არ უღალატა და ფსიქოლოგიური ბარიერი დაძლია, შემდეგში ჩვენებს თამაში გაუადვილდებათ.

**● როგორ ფიქრობთ, ქართველ ვეტერანთა ტურნირები, თუნდაც ჩემპიონატი რომ ჩატარდეს, მაყურებელი დაინტერესდება თუ არა და, საერთოდ, წაადგება თუ არა ასეთი ღონისძიება ქართულ ფეხბურთს?**

— ეს წინადადება დაისვა მემედ აბაშიძის 120 წლისთავისადმი მიძღვნილი ტურნირის დროს. კარგი იქნება თუ საქართველოში რამდენიმე გუნდი შეიკრიბება და პირველობას გაითამაშებენ. მაგრამ ამას დიდი პრობლემები ახლავს...

**● თქვენ მრავალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით გითამაშიათ, რომელ მათგანს გაიხსენებდით?**

— გივი ჩოხელს თბილისის „დინამოში“. ის უდიდესი ავტორიტეტი იყო ჩვენთვის. დიდ პატივს ვცემ გოჩა ფურცხვანიძეს — „ფეოლას“. როგორც ადამიანს, ამ კაცს ვერავინ შეედრება.

**● რაზე გიოცნებიათ, რა არ აგიხდათ...**

— ჩემი შესაძლებლობების ფარგლებში თითქმის ყვლა ოცნება ავისრულე.

აუხდენელი ოცნება ალბათ საქართველოს ნაკრებში ევროპულ ტურნირებში მონაწილეობაა, მაგრამ მაშინ ამაზე ოცნება წარმოუდგენელი იყო.

მასალები მოგვიმზადა „ლელოს“ საკუთარმა კორესპონდენტმა დავით ბარამიძემ

## SOS იყო და... აღარ არის!

განგაშის მიზანი: საზოგადოებრიობის და ადგილობრივი ხელისუფლების ყურადღება მიაპყროს განუკითხაობას — საცხოვრებელ ადგილებში, კერძოდ, თბილისში ე.წ. მარტივი ტიპის სპორტული მოედნების თავაშვებულ ძარცვა-განადგურებას.

მოძალადეები: მოსახლეობის ერთი ნაწილი, რომელმაც მოედნებს შემოხსნა ღობეები, რკინის მილები, ბორდიურები; მეორე კატეგორია „ბიზნესმენები“, რომელთა ჩანაფიქრია ფუნქციაწართმეული ეს ობიექტები გამოიყენონ თავიანთი საქმიანობის გაფართოებისათვის (სხვათა შორის, ცნობილ საყოველთაო ნგრევის პერიოდში სპორტული მოედნები ჯერ კიდევ ხელუხლები დარჩა, ძარცვამ ბოლო ხანებში მიიღო დიდი გაქანება).

გამოსავლის ჩვეული ვარიანტი: 1. მერიის დავალებით, თბილისში სასწრაფოდ უნდა აღირიცხოს სპორტული მოედნები (ჩატარდეს ე.წ. პასპორტიზაცია), გამოავლინოს მოძალადეები (შორს წასვლა არაა საჭირო: ბადეებით და მილებით შემოღობილია საკუთარი ბაღები სახლის წინ ან მის ახლოს, ან შეკრულია ავტოსადგომი (გალიები), ბორდიურებით, გარაჟებია აშენებული ან ბაღებში კვლებშუა გასავლელ ბილიკებადაა ჩაწყობილი).

2. ასევე, ქალაქის მერიის მითითებით, კატეგორიულად აიკრძალოს სპორტული მოედნების ფართის სხვა დანიშნულებისთვის დაკანონება. (სასწრაფოდ უნდა შემუშავდეს საგანგებო განკარგულება საერთო სარგებლობის სპორტული ობიექტების დასაცავად და აღსადგენად).

ზემოაღნიშნული დარღვევები ეხება აგრეთვე სკოლამდელ დაწესებულებებს და სკოლებს.

3. მდგომარეობის სასწრაფოდ გამოსასწორებლად, ვფიქრობთ, ქალაქის მერიამ, ვითვალისწინებთ რა თბილისზე და თბილისელებზე მის გააქტიურებულ ზრუნვას, უნდა მოიწვიოს სპეციალური თათბირი ყველა დაინტერესებულ პირთა მონაწილეობით.

დრო აღარ ითმენს!

მოსახლეობის ფიზიკური განსაღების ასოციაცია,
„ლელოს“ რედაქცია.

* * *

მოსახლეობას ვთხოვთ აქტიურ მხარდაჭერას. დაგვირეკეთ 99-56-14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რომარიო: «ჩემი სასაუბრო ენა — გოლების ენაა»

პირველი გვერდიდან)

— ჰოლანდია, მაგალითად, სრულებით არ მომწონს. ხალხი იქ ცივია და მიუკარებელი. მე დავიბადე რიოში და იქ ვცხოვრობდი. მზიანი პლაჟების შემდეგ ძნელია შეეჩვიო სიცივეს და ნისლიან ამინდს.

● **ამის მიუხედავად, თქვენ ჰოლანდიური და ესპანური ენები ისწავლეთ.**

— ესპანურის სწავლა ბუნებრივია, არ გამჭირვებია. ჰოლანდიური კი საკმაოდ კარგად მესმის. შემიძლია განმარტება მოგცეთ ნებისმიერ საკითხზე. თუმცა, ისიც უნდა გითხრათ, რომ მოედანზე ლაპარაკი არ მიყვარს. ჩემი სასაუბრო ენა გოლების ენაა.

● **რას გეუბნებიან პარტნიორები, როცა ბურთი გაგაქვთ?**

— მეტწილად არაფერს. ზოგჯერ კბილებიდან გამოსცრიან მადლობის სიტყვებს. მათ ჰგონიათ, რომ გოლის გატანა ჩემი მოვალეობაა. მე, პირველ ყოვლისა, გოლები საკუთარი სიამოვნებისთვის გამაქვს. არ მიყვარს, როცა ჩემს ნაცოდვილარს თვითონ მიიწერენ ხოლმე, აქაოდა გოლი კოლექტიური სულისკვეთების შედეგიაო.

● **თქვენ გამტყუნებენ იმაშიც, რომ ხშირად დადიხართ დისკოთკებში და საერთოდ გიყვართ ღამის ცხოვრება.**

— ღამის ცხოვრება ევროპაში? იქ ხომ ყველგან „კომენდანტის საათია“, ღამე ქუჩაში ვერავის შეხვდები, პირწავარდნილი ლოთების გარდა. ამიტომ ევროპაში საღამოებს შინ ვატარებდი მეუღლესთან და გოგონასთან ერთად.

● **თქვენ გამტყუნებენ იმაშიც, რომ შვებულებას თვითნებურად იგრძელებთ.**

— მე ვარ უცხოელი. ბრაზილია ევროპასთან შედარებით დედამიწის სხვა მხარეს არის. იქ მე ჩვეულებრივ შობის არდადეგებზე ჩავდიოდი ხოლმე. წინასწარ ვითხოვდი მუდამ დამატებით დღეებს. უარი არასდროს უთქვამთ.

● **მაგრამ უკან დაბრუნებას, როგორც წესი, აგვიანებდით?**

— არ მესმის რატომ მითვლიან დანაშაულად იმას, რომ შინ ზედმეტი ერთი კვირა გავატარე;? ევროპელებს ამ მხრივ თავი ქუდში აქვთ. ისინი შინ არიან და უცხო მიწის კომპლექსი არ აწუხებთ, სხვა მხრივ დისციპლინიანი კაცი ვარ.

● **კლუბის ხელმძღვანელები თუ გიცავენ?**

— არასოდეს. ისინი, როგორც წესი, უმრავლესობის მხარეს არიან.

● **თქვენი ფასი ევროპაში დაახლოებით 15 მილიონი დოლარი იყო. რას ნიშნავს ეს?**

— იმას, რომ მე ყველაზე უკეთესი ფეხბურთელი ვარ.

● **როგორი ურთიერთობა გაქვთ გულშემატკივრებთან?**

— გულშემატკივრებს ფეხებზე ჰკიდიათ რას ამბობენ ჩემზე პარტნიორები. მათ ვუყვარვარ იმიტომ, რომ გოლები გამაქვს. ფეხბურთის თამაში გოლის გატანაა. დიპლომატია კი არც ჩემი საქმეა და არც გულშემატკივრების.

● **რა აზრისა ხართ იტალიის ფეხბურთზე?**

— იტალიაში თამაში ყველა ნორმალური ფეხბურთელის უმაღლესი ოცნებაა, სიამოვნებით ვითამაშებდი იტალიაში, მაგრამ — „პესკარას“ და „ბოლონიაში“ კი არა, რომელიმე მაღალი კლასის კლუბში.

● **როგორც გვახსოვს, ერთხანს „ნაპოლის“ უნდოდა თქვენი ყიდვა. მაშინ, თუ არ ვცდებით, 15 მილიონზე იყო საუბარი.**

— „ნაპოლის“ დონე ხელს არ მაძლევდა. ჩემი გუნდი „ინტერზე“ დაბალი რანგისა არ უნდა ყოფილიყო.

● **იტალიაში ცხოვრების პერსპექტივა არ გაშინებდათ?**

— პირიქით. იქ მშვენივრად ვიცხოვრებდი. მიყვარს, როცა გულშემატკივრები გაღმერთებენ. მერე, იტალიაში ფეხბურთი უფრო ღიაა, ლამაზი, ტექნიკური. ჩემი აზრით, ეს იმიტომ, რომ იტალიის კლუბები იბრძვიან მხოლოდ მოგებისთვის.

● **ფსიქოლოგიური თვალსაზრისით არ გაგიჭირდებოდათ?**

— იტალიაში ფეხბურთი №1 სპორტია. იქაურმა გულშემატკივრებმა სიყვარულიცა და სიძულვილიც ერთნაირი იციან. იქ არავინ არ არის გულგრილი, ეს კი დიდი ბედნიერებაა. ჩემთვის ფეხბურთისადმი ასეთი დამოკიდებულება დამატებითი სტიმულია.

● **გყავთ ძალიან ძვირფასი მანქანა „პორშე 911“. თანაგუნდელები, ამის გამო, ალბათ შურის თვალით გიყურებდნენ.**

— მე რიოს ღარიბთა რაიონში ვარ დაბადებული და მშვენივრად ვიცი რას ნიშნავს სიღარიბე. ძვირფასი მანქანა ჩემთვის სათამაშოა. მე არ ვცდილობ ვინმეზე მაღლა დავდგე იმის გამო, რომ მყავს „პორშე“.

● **ფეხბურთის თამაში ალბათ რიოში ისწავლეთ?**

— კაპაკაბანას პლაჟზე. ერთხელ ჩვენი ველური გუნდი სავარჯიშოდ მიიწვია „ვასკო და გამამ“. ეს შეხვედრა მოვიგეთ 4:0. ოთხივე ბურთი მე გავიტანე. ორი საათის შემდეგ „ვასკოს“ მოთამაშე ვიყავი. მეორე დღეს წავედი ეკლესიაში და მთელი ფული, რაც გამაჩნდა, ღმერთს შევწირე.

● **მორწმუნე ხართ?**

— ყოველ კვირას ოჯახთან ერთად დავდივარ ეკლესიაში და ღმერთს ვთხოვ კეთილი თვალით გადმოგვხედოს ჩვენცა და ჩვენს ახლობლებსაც.

● **ფეხბურთზე თუ ესაუბრებით უზენაესს?**

— ზოგჯერ მას ვევედრები გაუწიოს დახმარება ბრაზილიის ნაკრებს და მსოფლიო ჩემპიონატი მოაგებინოს. შარშან ჩემი ვედრება ღმერთმა შეისმინა.

ინტერვიუ რომარიოს ჩამოართვა იტალიის „ლა გაძეტა დელო სპორტის“ კორესპონდენტმა.

# ფიფა: „ფეხბურთის დღე“

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის წინადადებით ამ ზამთრის პირას მთელს მსოფლიოში უნდა მოეწყოს გლობალური საფეხბურთო მარათონი, რომელიც 20 საათს გაგრძელდება. ესაა დიდი ზეიმი, მისი ოფიციალური სახელწოდება გახლავთ „დღე, როცა მთელი მსოფლიო თამაშობს ფეხბურთს“. იგი ეძღვნება გაეროს 50-ე წლისთავს. ვარაუდობენ, რომ 10 ქვეყნის წარმომადგენლები (ნორვეგია, მაროკო, ბრაზილია, ტრინიდადი და ტობაგო, აშშ, ფიჯი, ჩინეთი, უზბეკეთი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, საფრანგეთი) 5 საერთაშორისო მატჩს გამართავენ სხვადასხვა სახელმწიფოში. ზეიმი 9 დეკემბერს დაიწყება ნორვეგიაში და 20 საათის შემდეგ დამთავრდება საფრანგეთში.

ფიფას სტრუქტურაში შემავალ სხვა ქვეყნებს რეკომენდაცია მიეცათ გამართონ საერთაშორისო შეხვედრები და ნათელჰყონ ფეხბურთის პოპულარობა მთელს პლანეტაზე.

## ჩაუქრობელი ვარსკვლავები

# გარინჩა — მართლაც განუმეორებელი ფეხმრუდე „ტორტო“!..



მანოელ ფრანცისკო დოს სანტოს (გარინჩა)

...კატასავით მიეპარებოდა ხოლმე ბურთიანად თავის „მსხვერპლს“, რომელიც მონუსხული იხევდა და იხევდა უკან. ბრაზილიელი უცებ მარჯვნივ გადაიხრებოდა, თითქმის მთლიანად ბალახამდე და როდესაც მცველი დარწმუნდებოდა, რომ თავდამსხმელი მარჯვნიდან ცდილობს გასვლას, იმავე მხარეს გადადგამდა ნაბიჯს, გარინჩა თვალის დახამხამებაზე გასწორდებოდა წელში და... უკან მოიტოვებდა საბოლოოდ დაბნეულ მეტოქეს.

ფეხბურთის გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ, რომ ასეთი ეპიზოდები ბრაზილიელთა თამაშის დროს ნომერი შვიდი მაისურიანი თავდამსხმელის მონაწილეობით ხშირად მეორდებოდა, რასაც საბოლოოდ მოჰყვებოდა ზუსტი გადაცემა მეტოქის კართან და პელესა და ვავას გოლი.

შეიძლება წარმოიდგინო მოთამაშე, რომელიც, ასე თუ ისე, ბაძავს პელეს, ჩარლტონს, ბეკენბაუერს, კრუიფს, მაგრამ, დაგვეთანხმებით, ძნელი წარმოსადგენია, რომ ვინმეს შეეძლოს გაიმეოროს გარინჩას თამაშის ორიგინალური ხელწერა, მისი მართლაც შეუდარებელი ბრძოლის მანერა. ერთი სიტყვით, გარინჩას „ასლი“ (თუნდაც მიახლოვებული) საერთოდ არ არსებობდა მსოფლიო ფეხბურთში. „არაფერი მესმის“! — არაერთხელ უთქვამთ გარინჩას წინააღმდეგ თამაშის შემდეგ ყველაზე სახელმოხვეჭილ მცველებს.

ფეხბურთელისთვის, იგი ცოტა უცნაურად გამოიყურებოდა, არაფერი სპორტული, ათლეტური. დაბალი, ოდნავ კუზიანიც კი, წვრილკისერა, მოშვებული, თითქოს დაცემული. ფეხებიც ხომ არანორმალური ჰქონდა — მოღუნული, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ მათ პატრონს ისინი არასოდეს შეუტყუპებია, ორივე ფეხი მარცხნისკენ გადახროდა, ამასთან, მარჯვენა ცოტა უფრო მოკლე ჰქონდა.

მაგრამ მართლაც საოცარია — გამოვიდოდა თუ არა გარინჩა მინდორზე, ერთბაშად რაღაც ხდებოდა მის სხეულში — არასპორტული, ფლეგმატური პიროვნება წამსვე სწრაფი, მოუხელთავი, ექსცენტრული ხდებოდა, თვალის დახამხამებაზე შეეძლო ადგილიდან მოწყვეტა, თოფის გასროლას ჰგავდა მისი სტარტი, მერე კი არნახული ფინტების მთელი კასკადით რაღაც საფეხბურთო ცირკს თუ სოლო კონცერტს მართავდა მაყურებლით სავსე ტრიბუნების თვალწინ. მენალმესავით უკაფავდა გზას პარტნიორებს მეტოქეთა გოლისაკენ, მათ კი ისღა დარჩენოდათ, ბურთთან ერთად გახვეულიყვნენ ბადეში.

„გარინჩა! გარინჩა!“ — გაიძახოდა აღტაცებული ტრიბუნები „ბოტაფოგოს“ კლუბისა და ბრაზილიის ნაკრების ჯადოქარი მარჯვენა გარემარბის განუმეორებელი თამაშის გამო. მაყურებელი სახელგანთქმულ გიგანტ „მარაკანაზე“ ფეხბურთზე კი არ მიდიოდა, არამედ... „გარინჩაზე“ — მათ საყვარელ „მანეზე“ (ასე ეძახდნენ მოფერებით მანოელ დოს სანტოს გარინჩას).

„მანე, ალეგრია დუ პოვუ!“ — მანე, ხალხის სიხარულო!“ — ეწერა სტადიონზე, მინდვრის გასწვრივ ცოცხალი ყვავილებისაგან უზარმაზარი ასოებით.

პაუ-გრანდე, დიდებული რიო-დე-ჟანეიროსაგან 80 კილომეტრზე რომ მდებარეობს, ალბათ, ყველაზე პატარა ქალაქია ბრაზილიაში — მასში სულ სამი ათასი მაცხოვრებელია. სწორედ აქ დაიბადა გარინჩა 1933 წლის 18 ოქტომბერს. აქვე ძაფსართავი ფაბრიკის სტადიონზე ისწავლა თამაში. ადვილად შეეძლო ზედიზედ ორი-სამი მცველის მოტყუება. 14 წლისა უკვე ოფიციალურ კლუბში — „პაუ გრანდში“ თამაშობდა, 20 წლისა კი „ბოტაფოგოში“, რომელსაც მუდამ მშობლიურ კლუბად თვლიდა.

გარინჩამ (ეს სახელი მას ჯერ კიდევ ბავშვობაში შეარქვეს, რადგანაც მანოელს ძალიან უყვარდა ჩიტების ჭერა). ყველაზე მეტი მას მაინც გარინჩა ჩიტები ჰყავდა დაჭერილი, ასე ბლომად რომ იყვნენ პაუ-გრანდის ტყეში. სხვათა შორის, მომავალი ფეხბურთელი დიდებულად ბაძავდა გარინჩას ხმითაც.

გარინჩამ უკვე თავის პირველ მატჩში სამი ბურთი გაიტანა და „არტილერეიროს“ (ბომბარდირის) სახელი მოიპოვა. „ეს ბიჭი — გენიოსია!“ — წარმოთქვა სახელგანთქმულმა ფეხბურთელმა ნილტონ სანტოსმა „ბოტაფოგოსა“ და ბრაზილიის ნაკრების დაცვის ბურჯმა.

1955 წლის 18 სექტემბერს გარინჩამ პირველად ჩაიცვა ეროვნული ნაკრების ყვითელ-მწვანე მაისური (ჩილის გუნდის წინააღმდეგ — 4:4). მალე მან საბოლოოდ „განდევნა“ ქვეყნის მთავარი გუნდიდან სახელგანთქმული ჟოელი.

„ტონტო“ — „ფეხმრუდე“ — ასეც ეძახდნენ ხუმრობით მეგობრები გარინჩას — მსოფლიოს ორგზის (1958 და 1962 წ.წ.) ჩემპიონი იყო, იგი ყველა დროის საუკეთესო მარჯვენა გარემარბად ითვლება მსოფლიოში.

1973 წლის 18 დეკემბერს გარინჩამ გამოსათხოვარი მატჩი ჩაატარა „მარაკანაზე“, ხოლო 1982 წლის 25 დეკემბერს უკანასკნელად ჩაიცვა „ნომერი შვიდი“ მაისური ქალაქ ბრაზილიას სტადიონზე — მან ამ დღეს 20 წუთი ითამაშა ადგილობრივი „პლანალტინას“ შემადგენლობაში. ამ სტადიონს ისე, როგორც „ბოტაფოგოს“ ძველ სტადიონს, მოგვიანებით გარინჩას სახელი მიენიჭა.

ლეგენდარული ფეხბურთელი 1983 წლის 20 იანვარს წავიდა ამ ქვეყნიდან. მის საფლავს ასეთი წარწერა აქვს: „აქ მშვიდობიანად განისვენებს ის, ვინც ხალხის სიხარული იყო!“.

● **მოსკოვში** ამას წინათ გაიმართა უმაღლესი და პირველი ლიგების მწვრთნელთა თათბირი, მიძღვნილი პირველი წრის დამთავრების შედეგებისადმი. თათბირზე არ გამოცხადდა რამდენიმე გუნდის უფროსი მწვრთნელი, მათ შორის მოსკოვის „სპარტაკის“, მოსკოვის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოსი“.

მწვრთნელთა საბჭომ დააჯარიმა ამ გუნდების მთავარი მწვრთნელები და, ამავე დროს, ერთი თამაშით აუკრძალა სათადარიგოთა სკამზე ყოფნა, რუსეთის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომიტეტი კი ამ ამბავს გაითვალისწინებს მწვრთნელთა ლიცენზირებისას მომავალი წლისთვის. დამნაშავეთა შორის არიან ო. რომანცევი („სპარტაკი“), კ. ბესკოვი („დინამო“), ვ. ივანოვი („ტორპედო“).

● **ცნობილი** ბრაზილიელი მცველი, მსოფლიო ჩემპიონი, 26 წლის მარსიო სანტოსი იტალიის „ფიორენტინიდან“ ჰოლანდიის „აიაქსში“ გადავიდა.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

4-წლიანი კონტრაქტი 3,2 მილიონი დოლარი დაჯდა. „აიაქსის“ მწვრთნელის ლუი ვან გალის განცხადებით ბრაზილიელი მცველი ფრანკ რაიკაარდს შეცვლის.

● **პარიზის** „პარი სენ-ჟერმენის“ მოთამაშე პატრის ლოკოს თაობაზე ჩვენ უკვე ვიუწყებოდით. მან ჩალეწა რამდენიმე ავტომნაქანის მინები, რაც ოჯახური კონფლიქტით გამოწვეული ფსიქოლოგიური შოკით ახსნა. პ. ლოკო შეამოწმა საგანგებო საექიმო კონსილიუმმა, დაადასტურა ავადმყოფობა, ამიტომაც ფეხბურთელს გარკვეული ხნით აუკრძალა მატჩებში მონაწილეობაც და ინტენსიური ვარჯიშიც.

● **მოსკოვში** გაიმართა რუსეთის პროფესიული საფეხბურთო ლიგის მორიგი კონფერენცია. სხვა საკითხებს შორის განიხილეს თანამდებობათა შეთავსების პრობლემაც, დაადგინეს, რომ ლიგისა და კლუბის პრეზიდენტად შესაძლებელია იყოს ერთი და იგივე პიროვნება, ასე რომ, ნ. ტოლსტიხი კვლავ რჩება პროფესიული ლიგისა და მოსკოვის „დინამოს“ პრეზიდენტად. მისი წინადადებით რუსეთის ჩემპიონატში მონაწილე უმაღლესი და პირველი ლიგების კლუბებს დაევალათ ბავშვთა და მოზარდთა გუნდების გამოყვანა შეჯიბრებებში. რუსეთის საფეხბურთო პროფესიული ლიგა წლის ბოლოსთვის შეიცვლის თავის იურიდიულ სტატუსს და ასოციაციად იქცევა.

● **სანქტ-პეტერბურგის** მერის მოადგილემ ვ. მუტკომ, რომელიც ამავე დროს საფეხბურთო კლუბ „ზენიტის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეცაა, განაცხადა, რომ თუ აქაური კლუბი „სატურნი-1991“ გამოითიშა რუსეთის ჩემპიონატიდან, ქალაქმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაკარგოს ეს ადგილი. სანქტ-პეტერბურგის მეორე გუნდს „სატურნ-1991“-ის ნაცვლად, როგორც უწინ იყო, დაერქმევა „დინამო“.

● **რუსეთის** ნაკრების ნახევარმცველი იგორ შალიმოვი შარშან გერმანიის „დუისბურგში“ გამოდიოდა, შემდეგ იტალიის „ინტერში“ გადაინაცვლა, მაგრამ აქაც ვერ მოიკიდა ფეხი, ვინაიდან კლუბში მეხუთე უცხოელი აღმოჩნდა (აქ პრიორიტეტი აქვთ არგენტინელებს ზანეცისა და რამბერტს, ბრაზილიელ რობერტო კარლოსს, ინგლისელ ინსს) და ამიტომაც შვეიცარიის „ლუგანოში“ გადაბარგდა.

● **იტალიელი** ფეხბურთელი ანდრეა სილენცი, „ტორინოს“ 29 წლის ფორვარდი, 3 წლის კონტრაქტით შეიძინა ინგლისის „ნოტინგემ ფორესტმა“. როგორც იტყობინებიან, ა.სილენცი პირველი იტალიელი ფეხბურთელია, რომელიც ინგლისის კლუბში ითამაშებს.

### კორეელებს დიდი ფეხბურთი მოსწყურდათ!

კორეელებს მსოფლიოს 2002 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის გამართვის დიდი სურვილი აქვთ. ამ მიზნით აქ გადაწყვიტეს 1,3 მილიარდი დოლარი გაიღონ მომავალი ხარჯებისთვის.

მაგრამ, ამბობენ, კორეელთა კონკურენტი ქვეყნები მზად არიან კიდევ უფრო მეტი ხარჯი გასწიონ მსოფლიო ჩემპიონატის სამასპინძლოდ.

## მსოფლიო ჩემპიონთა ახალი შემადგენლობა

9 და 12 აგვისტოს ბრაზილიელ ფეხბურთელებს ამხანაგური შეხვედრები მოელით იაპონიისა და კორეის ნაკრებ გუნდებთან. მსოფლიო ჩემპიონები, რა თქმა უნდა, საგულდაგულოდ ემზადებიან, ამასთან, მნიშვნელოვანი ცვლილებები აქვთ გუნდში.

ბრაზილიელთა მწვრთნელმა მარიო ზაგალომ ახალ განაცხადში 22 ფეხბურთელი შეიყვანა:

**მეკარეები** — ჟილმარი, დიდა.

**მცველები** — ჟორჟინიო, როდრიგო, ანდრე კრუზი, ადრიანო, ნარსისი, რონალდო ლუისი, ბრუნო კარვალიო, ზე რობერტო.

**ნახევარმცველები** — სეზარ სამპაიო, პერეირა, დუნგა, ბეტო, ზინიო, იანი, ლეონარდო, ჟუნინიო.

**თავდამსხმელები** — ედმუნდო, კაიო, ჯოვანი, სავიო.

ახალ ნაკრებში მხოლოდ 6 მსოფლიო ჩემპიონია ჩართული და ამის თაობაზე მწვრთნელმა თქვა:

— განახლების დრო დადგა, ახლოვდება ატლანტის ოლიმპიური თამაშები, საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატი, სხვაა დიდი შეჯიბრებები, ამიტომაც გვჭირდება ახალი ძალები, ახალი სისხლი. ნაკრების განახლება ბუნებრივი პროცესია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მუჰამედ ალი სიბრალულს იწვევს

სპორტული კარიერის გაფურჩქვნის ხანს მას არაფერი ესაქმებოდა ნიუ-იორკის ერთ-ერთ უდიდეს უნივერმაღ „მეისისში". თაყვანისმცემლები უფრო „მედისონ სკვერ გარდენის" სარბიელზე ხვდებოდნენ და სულმოუთქმელად თვალს ადევნებდნენ მის ცეცხლოვან გამოსვლებს რინგზე...

ამჯერად კი ისინი მსოფლიო ექს-ჩემპიონ მუჰამედ ალისთან შესახვედრად ხშირად მიაშურებენ მაღაზიას, სადაც მათ საშუალება ეძლევათ „მეისისის" აივანზე იხილონ თავიანთი კერპი. მის გამოჩენას გულშემატკივართა ერთიანი სევდა ახლავს, რადგან ალი საკმაოდ ულიმღამოდ გამოიყურება — ჯანმრთელობა გვარიანად შეურყია კარიერის ქარტეხილებმა, ამიტომაც მოაბიჯებს მძიმედ და საერთო სიბრალულს იწვევს მისი ავადმყოფური გამოხედვა. მოკრივის ქცევაც ერთობ აეჭვებს ყველას, გაურკვეველია, რამდენად ესმის და ხედავს ყველაფერს მის გარშემო. ხალხში გამოჩენისას ალი იბნევა და მეტყველების უნარი უქრება, ამიტომაც ჟესტიკულაციით „ლაპარაკი" ურჩევნია. დროდადრო კი მისი მზერა სივრცეში შთაინთქმება. მოკრივე აივანზე იკავებს განკუთვნილ ადგილს და არიგებს ავტოგრაფებს, რომლის მიღების მსურველთა რიცხვი სჭარბობს ათასებს, რიგი, სადღაც მეზობელი ქუჩის ბოლოს თავდება. ხალხს ხელში უჭირავს პლაკატები, ჟურნალები, მოკრივის ხელთათმანები...

მათ „მუჰამედ ალის სპორტული ტანსაცმლის კოლექციიდან" საქონლის შეძენის შედეგად მიიღეს თავიანთი ადგილი რიგში. რა თქმა უნდა, ყველაფერ ამას ალის დიდებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ახლა იგი — სავაჭრო რიგების „მეისისის" ემბლემის ატრიბუტია და სხვა არაფერი.

რას იზამ — ხშირად დღევანდელი რეალობა წარსულთან გასაოცარ შეუთავსებელ წინააღმდეგობაშია...

## პროფესიულ რინგზე

● იბფ-ს ვერსიით მძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონის ოქროს ქამრისთვის იბრძოლებენ გერმანელი აქსელ შულცი და სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკის წარმომადგენელი ფრანსუა ბოტა. შეხვედრას ნოემბერში უმასპინძლებს ან მიუნხენის ოლიმპიური სტადიონი, ან დორტმუნდის „ვესტფალენჰალე". საინტერესოა აღინიშნოს, რომ გერმანიაში ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის არ გამართულა 1976 წლის შემდეგ (ამ წელს მაინის ფრანკფურტში მოჰამედ ალიმ რიჩარდ დანი დაამარცხა).

● რაც უფრო ახლოვდება 19 აგვისტო, მით უფრო იძაბება სიტუაცია პიტერ მაკნილმაიკ ტაისონის მატჩის ირგვლივ. მაკნილი თითქმის ყოველ მეორე დღეს აწყობს პრესკონფერენციას, ჟურნალისტებთან ბოლო შეხვედრაზე მან განაცხადა, რომ ტაისონს წარმატების არავითარი შანსი არ აქვს. სანამ ის ციხეში იჯდა და სასჯელს იხდიდა მე გულმოდგინედ ვვარჯიშობდი და, ბუნებრივია, მასზე უკეთეს ფორმაში ვარო. მსოფლიოს ექსჩემპიონი უფრო დინჯად იქცევა და პრესკონფერენციებსაც იშვიათად მართავს. ერთ-ერთ მათგანზე მან დაამშვიდა გულშემატკივრები ასეთი სიტყვებით: „მაკნილი სერიოზული მეტოქე არ არის და ამიტომაც შეგიძლიათ არხეინად იყოთ". რაც შეეხება ბილეთების ფასს, იგი 200-დან 1500 დოლარის ფარგლებში მერყეობს, რაც, თავისთავად, გულშემატკივართა გარკვეულ ინტერესზე მიგვანიშნებს.

● არასდროს არ ყოფილა რიდიკ ბოუ ისეთი კატეგორიული, როგორიც ახლა, ევანდერ ჰოლიფილდთან შეხვედრისთვის მზადების პერიოდში. ეს ორთაბრძოლა, რომელმაც უნდა გამოავლინოს ოქროს ქამრის მფლობელი მძიმე წონაში ვბო-ს ვერსიით, გაიმართება 4 ნოემბერს ლას-ვეგასში, რიდიკ ბოუ დარწმუნებულია გამარჯვებაში. იგი ამბობს, რომ ბოლოს და ბოლოს ყველამ უნდა გაიგოს ვინ არის უძლიერესი მოკრივე მსოფლიოში.

## რა ხდება ქვეყანაზე

● პროფესიულ ჩოგბურთელთა ასოციაციის პრეს-ცენტრის მონაცემებზე დაყრდნობით ქართველ ჩოგბურთელებს — ლელა მესხსა და ნინო ლუარსაბიშვილს მონაწილეობა აქვთ მიღებული ამ ორგანიზაციის ეგიდით გამართულ 3-3 ოფიციალურ შეჯიბრებაში. მესხმა მოიგო ერთი ტურნირი ხოსარტში (ესაა მისი საუკეთესო შედეგი) და აქვს პარტიების დადებითი ბალანსი — 5:2. ლუარსაბიშვილის საუკეთესო შედეგია მეოთხედფინალი ჰიუსტონის ტურნირში (პარტიების შეფარდება 3:3).

● დიუსელდორფში გარდაიცვალა ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტთა ნაკრების ყოფილი მეკარე ვლადიმერ ძურილა. აგვისტოს ბოლოს მას 53 წელი უსრულდებოდა. ძურილა იყო მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების მრავალგზის პრიზიორი. ბოლო დროს მუშაობდა მწვრთნელად ფრანკფურტსა და დიუსელდორფში. ექიმების დასკვნით ძურილას უმტყუნა გულმა.

● მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ტანმაღალი კალათბურთელი, 24 წლის რუმინელი გეორგე მურეშანი (231 სმ) ამიერიდან ითამაშებს საფრანგეთის „პო ორტეზში", გუნდში, სადაც ერთხელ უკვე ირიცხებოდა. 1993 წლის დრაფტში იგი „ვაშინგტონ ბულიტსმა" აიყვანა. 2 წლის მანძილზე ნბა-ში 127 მატჩი ჩაატარა. ყოველ შეხვედრაში თავისი კოლექტივისთვის საშუალოდ 8,2 ქულა მოჰქონდა, რაც ცენტრალური თავდამსხმელისთვის ერთობ სუსტი მაჩვენებელია.

● ევროპის ჩემპიონატის საკლასიფიკაციო ტურნირში ესტონეთის კალათბურთელთა ნაკრების სუსტი გამოსვლის გამო თანამდებობიდან გადადგა გუნდის უფროსი მწვრთნელი იაკ სალუმეტსი. ამიერიდან იგი მთელ ყურადღებას ტალინის „კალევის" მომზადებაზე გადაიტანს.

● ისრაელის „მაკაბიმ" იყიდა ყველაზე პერსპექტიული ესტონელი კალათბურთელი მარტინ მიუსეპი (207 სმ). ეს გარიგება შეფასდა 5 მილიონ დოლარად. ისრაელის კლუბი თანხას გადაიხდის 12 წლის განმავლობაში — ასეთია კონტრაქტის პირობა. მარტინ მიუსეპს 20 წელი ჯერ არ შესრულებია.

● სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კრივის სამყაროში წარმოუდგენელი პანიკაა და დაბნეულობა. ერთ-ერთმა რიგითმა შემოწმებამ შიდსის ვირუსზე აღმოაჩინა, რომ ქვეყნის 33 პროფესიული მოკრივე ამ საშინელი სენითაა დაავადებული. პირველი, რაც მოიფიქრა კრივის ეროვნულმა ფედერაციამ, ყველა დაავადებულს ჩამოართვა პროფესიონალის ლიცენზია.

● 1997 წლიდან ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის (იფტ) ეგიდით ყოველწლიურად 10 ახალი ტურნირი მოეწყობა (საპრემიო ფონდი — 3,5 მილიონი დოლარი). ამ შეჯიბრებათა ჩატარება დაგეგმილია „დიდი სლემის" ტურნირების წინ.

## ნბა-ს ამბები



ჩარლზ ბარკლი

● როგორც იქნა დამთავრდა გაფიცვა ნბა-ში, უფრო სწორად, მიღწეულია შეთანხმება უკმაყოფილო მოთამაშეებსა და ლიგის ადმინისტრაციას შორის, ამ ისტორიულ შერიგებას ესწრებოდნენ ნბა-ს კომისარი დევიდ სტერნი, კლუბების დელეგატები — ჰაროლდ კაცი („ფილადელფია") და ჯერი კოლანჯელი („ფინიქსი"), აგრეთვე, მოთამაშეთა კავშირის წარმომადგენლები ბაკ უილიამსი („პორტლენდი") და ჩარლზ სმითი („ნიუ-იორკი"), ლიგის ხელმძღვანელობა გარკვეულ დათმობებზე წავიდა, მაგრამ უცვლელი დარჩა პუნქტი გადასახადების გადიდების თაობაზე. ეს ბუნებრივიცაა და უშუალოდ არის დაკავშირებული ხელფასების გაზრდასთან. კალათბურთელები ყველაზე დიდ გამარჯვებად მიიჩნევენ იმას, რომ დაიშალა მოთამაშეთა პროფკავშირი. რა ფუნქციები დაეკისრება მის ნაცვლად შექმნილ ახალ ორგანიზაციას, ჯერ უცნობია.

● საყოველთაო გაფიცვასთან დაკავშირებით ნბა-ს მორიგი ჩემპიონატის სტარტი რამდენადმე გადაიდო და ნაცვლად ოქტომბრისა 3 ნოემბრისთვის დაინიშნა. ამ დღეს ითამაშებს ეროვნული ლიგის ოცდაცხრა გუნდიდან ოცდარვა. ბოლო ორი გათამაშების ჩემპიონი „ჰიუსტონ როკიტსი" პირველ კალენდარულ მატჩში უმასპინძლებს „გოლდენ სტეიტ უორიორზს".

● ამიერიდან საგრძნობლად გაძვირდება ბილეთების ფასი ნიუ-იორკის „მედისონ სკვერ გარდენში" „ნიკსის" ყოველ მატჩზე: ადგილები ცენტრში ეღირება 500-დან 1000 დოლარამდე. აქამდე ბილეთები ყველაზე ძვირი იყო ლოს-ანჯელესში. იმავე ადგილებში მაყურებელი იხდიდა 300-500 დოლარს.

● ამდენჯერ აზრისა და გადაწყვეტილების შეცვლა მეტისმეტია და იგი, როგორც ჩანს, მეჯიკ ჯონსონის მერყევ ხასიათზე მეტყველებს. ამ რამდენიმე ხნის წინ პროფესიული კალათბურთის სუპერვარსკვლავმა განაცხადა, რომ თავს კარგად გრძნობს (იგი შიდსითაა დაავადებული) და მშობლიურ კლუბში — „ლოს-ანჯელეს ლეიკერსში" აპირებდა დაბრუნებას. ახლა კი ახალი გადაწყვეტილება: მეჯიკი თავს ანებებს სპორტს საბოლოოდ და მთლიანად გადაერთვება თეატრალურ ცხოვრებაში. თეატრი რაღა შუაშია, იკითხავთ ალბათ? საქმე ის გახლავთ, რომ ჯონსონმა ლოს-ანჯელესის ერთ-ერთ რაიონში გახსნა თორმეტსართულიანი თეატრალური კომპლექსი სპეციალურად კალიფორნიის ფერადკანიანი მოსახლეობისთვის.

● „ბოსტონ სელტიკსის" ფორვარდი დომენიკ უილკინსი სასამართლოში უჩივის კლუბის ხელმძღვანელობას, რომელიც უარს ამბობს კუთვნილი 8,4 მილიონი დოლარის გადახდაზე. კლუბთან გაფორმებული ხელშეკრულების თანხმად 3,7 მილიონი დოლარი მან უკვე მიიღო. 1995-96 წლებში დანარჩენი 8,4 მილონი უნდა მიიღოს. კონტრაქტის თანხმად კლუბს შეუძლია ეს თანხა 1995 წელსვე გადაიხადოს, ამიტომაც მოითხოვს კალათბურთელი კონტრაქტის პირობების დაცვას.

● არავის ეგონა თუ ჩარლზ ბარკლი ასეთ დაუფარავ ინტერესს გამოიჩენდა აშშ-ს პოლიტიკური ცხოვრებისადმი. ბოლო დროს კალათბურთელი გაშმაგებით იბრძვის ალაბამის შტატის გუბერნატორის თანამდებობის ხელში ჩასაგდებად. არადა, რესპუბლიკელები სთავაზობენ კონგრესმენის პოსტს, რომელიც ამჟამად დემოკრატთა პარტიის წარმომადგენელს, ზანგ ირლ ჰილიარდს უკავია. ბარკლის, სამწუხაროდ, არაფრის გაგება არ სურს გუბერნატორის თანამდებობის გარდა, თუმცა რესპუბლიკელები ფიქრობენ, რომ მის სურვილს არ უწერია განხორციელება.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი

ბივი მებრელიშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## კროსვორდი



თარაზულად: 5. წყალში ხტომის ბაქანი; 7. გერმანიის საფეხბურთო კლუბი; 8. ქართული ხალხური თამაში; 11. მხატვრული ტანმოვარჯიშის ინვენტარი; 12. სპორტის ზამთრის სახეობა; 13. მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის შემოკლებული სახელი; 16. საფეხბურთო კლუბი — ლუქსემბურგის ჩემპიონი; 17. გოლიათი, მონადირე ბერძნულ მითოლოგიაში; 21. სწრაფი, მალი, მკვირცხლი..; 22. ტანვარჯიშული იარაღი; 23. პოპულარული უცხოური სპორტული გამოცემა; 26. ილეთი ფეხბურთში; 27. უცხოელი ჩოგბურთელი; 28. სასტენდო სროლაში სანგარი ანუ...;

შვეულად: 1. კლასი აფროსნობაში; 2. შემხვედრი დარტყმა კრივში, რომელიც გზას ულობავს დასარტყმელად წამოსულ მეტოქის ხელს; 3. ქალაქი, სადაც ჩატარდა ოლიმპიური თამაშები; 4. დიდი წარმატება, ბრწყინვალე გამარჯვება, ამით გამოწვეული ზეიმი; 6. დროებითი სადგომი ტურისტებისთვის და ალპინისტებისთვის; 9. მასობრივი ლაშქრობა მწვერვალზე; 10. ცნობილი პოლონელი მოფარიკავე; 14. შოტლანდიელი ფეხბურთელი; 15. სამ და ოთხწლიანი ცხენების დოღი; 18. ცხენის ლაღი, თავისუფალი სვლა; 19. გერმანიის საფეხბურთო გუნდი; 20. მოტორბოლის სახეობა; 24. წონასწორობის დაკარგვა კრივში; 25. ნადირობაში კანონების დამცველი.

## რა ხდება ქვეყანაზე

## კრიმინალური ქრონიკა

### კიდევ ერთი მკვლელობა

როგორც ურუგვაიდან იტყობინებიან, სამხრეთ ამერიკის საფეხბურთო ჩემპიონატის დროს ქ. პოსადენუში დანით დაჭრეს 19 წლის არგენტინელი ფეხბურთელი დანიელ ერნან გარსია. საექიმო დახმარებამ მას ვერ უშველა, გარსია გარდაიცვალა.

თავაწყვეტილი დებოში მოხდა მას მერე, რაც არგენტინელებმა ანგარიშით 4-0 დაამარცხეს ჩილეს ნაკრები. ეგზალტირებული ფანატიკოსები მატჩის შემდეგ ჯერ სათამაშო მინდორზე გადმოიჭრნენ, მერე კი ქალაქის ქუჩებსაც მოედვნენ.

დაღუპული ფეხბურთელის გარდა არიან მძიმედ დაჭრილებიც.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი თანაუგრძნობს სპორტის დამსახურებულ ოსტატს კობა წაქაძეს ᲓᲔᲓᲘᲡ გარდაცვალების გამო.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი და სპორტის ზამთრის სახეობების ფედერაცია თანაგრნობას უცხადებენ სპორტის დამსახურებულ ოსტატს კობა წაქაძეს ᲓᲔᲓᲘᲡ გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ლელოს" რედაქცია თანაუგრძნობს სპორტის დამსახურებულ ოსტატს კობა წაქაძეს ᲓᲔᲓᲘᲡ გარდაცვალების გამო.

„ლელოს" 28-ე ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ბორუსია, 7. ლიდერი, 8. აიაქსი, 11. აუტი, 12. არენა, 13. ნიკე, 14. იანსენი, 16. იაშვილი, 18. პარტიზანი, 23. ლატარია. 25. ბივუაკი, 26. ფიდე, 27. დესაი, 28. სეტი, 31. ტრიმსო, 32. შვეცია, 33. ადიდასი.

შვეულად: 1. ბრემე, 2. რიიკარდი, 3. სპარინგი, 4. ავაზა, 5. კირსტენი, 6. ასპრილია, 9. ზარია, 10. შელია, 15 ნარდი, 17. აგასი, 19. ბლეფი, 20. შტადლერი, 21. ვალენსია, 22. ჯიქია, 24. აპერკოტი, 25. ბოავიშტა, 29. ნიმფა, 30. ბუერი.

გაზეთის დღევანდელი ნომერი აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემით.
ხელმძღვანელი: გ. სიმონიშვილი.
შემსრულებლები: ი. სიდამონიძე, ნ. რამიშვილი, მ. ჯილაური.

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, მ.კოსტავას 14. ტელეფონი 99-56-14, 99-56-47. ინდექსი 66435 INDEX. ● დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ) შედის გაზეთის ფასში.